


- პერიოდულად, 6 თვის ასაკიდან, ბავშვს, განსაკუთრებით ინდუსტრიულ რაიონებში და დიდ ქალაქებში ცხოვრებისას, უნდა ჩაუტარდეს კვლევა სისხლში ტყვიის შემცველობაზე,
- დედის ორგანიზმში ტყვიის მომატებული შემცველობა გავლენას ახდენს ნაყოფის განვითარებაზე. ამიტომ, აუცილებელია დედის გამოკვლევა სისხლში ტყვიის შემცველობაზე;
- ფეხმძიმობის დროს დაუშვებელია მუშაობა ისეთ წარმოებაში, სადაც ტყვიით მოშხამვის რისკი არსებობს;
- არასასურველია ფეხით სიარული ტრანსპორტით გადატვირთულ ქუჩებში;
- მნიშვნელოვანია საზოგადოების მხრიდან გარემოსდაცვითი ორგანიზაციების მხარდაჭერა, რათა მათ გააძლიერონ მუშაობა ტყვიით დაბინძურების წინააღმდეგ;
- მოსახლეობა აქტიურად უნდა ჩაერთოს ტყვიის შემცველი საწვავის გაყიდვის კონტროლის ღონისძიებებში.



საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

აუცილებელია საზოგადოების ინფორმირება ტყვიასთან დაკავშირებული ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის რისკებისა და ამ რისკების პრევენციის გზების შესახებ.



ტყვიით მოწამვლის პრევენციის, განსაკუთრებით კი საღებავებისგან ტყვიის ექსპოზიციის პრევენციის მიზნით, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს დაცვის პროგრამასთან (UNEP) ერთობლივად შექმნა საღებავებიდან ტყვიის ელიმინაციის გლობალური ალიანსი (GALEP). მასში გაერთიანებულია შერეული შტატების გარემოსდაცვითი სააგენტო (USEPA) და პედიატრების საერთაშორისო ასოციაცია; ასევე, WHO და UNEP. მისი მიზანია 2020 წლამდე ქვეყნებში განხორციელდეს საღებავებიდან ტყვიის ელიმინაცია.

სისხლში ტყვიის დონე (მკგ/დმ)	მოსალოდნელი გართულებები	რეკომენდაციები
0-9	სიმპტომები არ არის აღწერილი, სისხლში ტყვიის შემცველობა შეამოწმეთ ყოველწლიურად.	ჩარევა არ არის საჭირო.
10-14	განვითარების მცირედ შეფერხების საშიშროება მაშინაც კი, თუ სიმპტომები არა არის გამოხატული; სისხლში ტყვიის დონე შეამოწმეთ 6 თვეში ერთხელ.	შეეცადეთ, ბავშვი მოაშოროთ ისეთ ადგილებს, სადაც ტყვიის მაღალი კონცენტრაციის დიდი ალბათობაა.
15-19	აშკარა სიმპტომები არ ვლინდება, მაგრამ არის სწავლის პროცესში პრობლემების განვითარების რისკი; სისხლში ტყვიის დონე და რკინის დეფიციტი შეამოწმეთ 6 თვეში ერთხელ.	თუ ბუნებრივი მეთოდებით და გარემოსდაცვითი ფაქტორების კონტროლით სისხლში ტყვიის კონცენტრაცია არ შემცირდა, მიმართეთ ექიმს.
20-44	არ ახასიათებს გამოკვეთილი სიმპტომები, მაგრამ არის ჰიპერაქტიულობის და გონებრივი განვითარების შეფერხების რისკი. საჭიროა სრული სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი სამედიცინო ჩარევა.	აუცილებელია გარემოში ტყვიის დონის მატების წყაროების გამოვლენა და გაუვნებელყოფა.
45-69	ბავშვს შეიძლება ჰქონდეს მწვავე ტკივილები, ანემია, ძლიერი აგზნება, ჰიპერაქტიულობა, დისკომფორტი, სპაზმი მუცლის არეში.	გადაუდებელი ინტენსიური მკურნალობა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების კონტროლის აქტიური განხორციელება.
>70	ხასიათდება მძიმე სიმპტომებით: კრუნჩხვები, კომა, სპაზმი მუცლის არეში, განვითარებაში ძლიერი ჩამორჩენა, ჰალუცინაციები.	გადაუდებელი ინტენსიური სტაციონარული მკურნალობა და გამოწვევი გარემო მიზეზების აქტიური შესწავლა.



სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.
 ☎ 2398946, 2435438, E-mail: ncdc@ncdc.ge www.ncdc.ge

20-26 ოქტომბერი 2019

ტყვიით მოშხამვის პრევენციის საერთაშორისო კვირეული

აკრძალე ტყვია საღებავებში

იცოდეთ რისკების შესახებ

შემოუერთდით აქტივობებს

მოახდინეთ საღებავებში ტყვიის აღმოფხვრა

www.who.int/lead_campaign/en/
 #ILPPW2019 #BanLeadPaint

2019 წლის 20-26 ოქტომბერს იმართება ტყვიით მოშხამვის პრევენციის კვირეული. კვირეულს კოორდინაციას უწევს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი და გაეროს ბავშვთა ფონდი.

„უარი ვთქვათ ტყვიის შემცველ საღებავებზე“
ტყვიით მოშხამვა ბავშვებში



ტყვია მეტალია, რომელიც შხამავს ადამიანის ორგანიზმს და მძიმე გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე. ტყვიით მოშხამვა განსაკუთრებით საშიშია ბავშვის მზარდი ორგანიზმისთვის. ტყვიით მოშხამვა იწვევს ფიზიკური და გონებრივი განვითარების შეფერხებას.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ, 2015 წელს, თბილისში 2-5 წლის ასაკის ბავშვებში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკვლეულთა 33%-ს დაუფიქსირდა სისხლში ტყვიის შემცველობა ≥ 5 მკგ/დლ, 12.7%-ს კი >10 მკგ/დლ.



ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) შეფასებით, ტყვიით




ექსპოზიციის შედეგად განვითარებული დაავადებები დაავადებათა გლობალური ტვირთის 0.6%-ს შეადგენს. დაავადებათა ტვირთი განსაკუთრებით მაღალია განვითარებად ქვეყნებში.

ტყვიით მოშხამვის შედეგები ხშირად შეუმჩნეველია და მკურნალობის გარეშე რჩება. 2018 წლის სექტემბრიდან საქართველოში ჩატარდა მრავალინდიკატორული კლასტერული (MICS) კვლევა, რომლის დროსაც განისაზღვრა სისხლში ტყვიის შემცველობა 2-7 წლის ასაკის ბავშვებში. კვლევის შედეგები ხელმისაწვდომია.

ტყვიით მოშხამვასთან დაკავშირებული ძირითადი სიმპტომებია:

- სწავლის უნარის დაქვეითება;
- დაბალი მაჩვენებლები ინტელექტის შეფასების ტესტებში;
- ზრდისა და განვითარების პროცესის დარღვევა;
- ყურადღების კონცენტრაციის პრობლემები;
- მეტყველების პრობლემები;
- დაბალი აკადემიური მოსწრება სკოლაში;
- კოორდინაციის დარღვევები;
- სირთულეები კითხვაში;
- ქცევითი პრობლემები;
- ჰიპერაქტიულობა;



ტყვიის შემცველი საღებავი. საღებავები, რომელთაც იყენებენ საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის (სახლების ფასადის, შიდა კედლების, ავეჯის, სათამაშოების შესაღებად), სხვადასხვა დოზით შეიცავენ ტყვიას. ზოგიერთ ქვეყანაში საღებავების წარმოებისას ტყვია აღარ გამოიყენება 1970 წლიდან, მაგრამ ტყვიის შემცველი მტვერი მაინც ხვდება ჰაერში უკვე აშენებული შენობებისა და ძველი ავეჯის ზედაპირიდან.

ძველი სახლები, რომელთა კედლები შედგებილია ტყვიის შემცველი საღებავით, სკოლამდელი ასაკის ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობის მატების ერთერთ ძირითად მიზეზად რჩება. ბავშვებში ტყვიით მოშხამვას იწვევს ტყვიის შემცველი საღებავებით შეღებილი სათამაშოების ღეჭვა, შეღებილი საწოლების მოაჯირების პირით შეხება, საღებავის მტვრის ინჰალაცია და ა.შ.

ტყვია ასევე აღმოჩენილია სასმელ წყალში, რომელიც მოედინება ტყვიის შემცველი ნიადაგიდან, სადაც იგი ხვდება ავტომობილების გამონაბოლქვიდან.



რა უნდა ვქნათ, თუკი ტყვიით მოშხამვაზე გვაქვს ეჭვი?

თუ თვლით, რომ ბავშვს აღენიშნება ტყვიით მოშხამვის ნიშნები, მიმართეთ ექიმს. თუ ექიმის მიერ დანიშნულმა სისხლში ტყვიის შემცველობის ლაბორატორიული ანალიზმა აჩვენა სისხლში ტყვიის მომატებული შემცველობა, ექიმი გაგიწევთ რეკომენდაციას და განახორციელებს შესაბამის მეთვალყურეობას. ტყვიით დაბინძურების შესაძლო წყაროების გამოსავლენად რეკომენდირებულია შემოწმდეს საცხოვრებელი ბინა.

რა უნდა გააკეთოს მშობელმა ტყვიით მოშხამვისგან ბავშვის დასაცავად?

- აუცილებელია ოთახების სველი წესით დალაგება, სულ მცირე კვირაში ერთხელ;
- მიზანშეწონილია ბავშვის სათამაშოების ხშირად რეცხვა;
- ბავშვი უნდა მიეჩვიოს სახლში მოსვლისას ხელების დაბანას;
- არასასურველია ბავშვისთვის მეტალის ფურცლებში შეფუთული საკვების მიცემა;
- ბავშვმა უნდა მიიღოს რკინით, კალციუმით და ცილებით მდიდარი საკვები, რადგან ისინი ზრდიან ტყვიით ინტოქსიკაციისადმი ორგანიზმის გამძლეობას;
- ბავშვისთვის არასასურველია ზედმეტად ცხიმოვანი საკვები, რადგან ცხიმი ხელს უწყობს საჭმლის მომწეველ სისტემაში ტყვიის დიდი ხნით შეჩერებას.

ეკოლოგიური ინდუსტრიული წარმოებით და ტყვიის შემცველი საწვავით გარემოს დაბინძურება იწვევს ტყვიით მოშხამვას და სავალალოდ მოქმედებს ფეხმძიმე ქალებსა და ბავშვებზე.

დაბინძურება:

ნარჩენების

